№ 88
რილის 23. ოთხშაბათი 1903 წ.
1877

# ივერია

1903
№ 88
აპრილის 23, ოთხშაბათი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

დღესასწაულის გამო შემდეგი №-რი გამოვა პარასკევს, 25 აპრილს.

პირველ აპრილიდან წლის დამლევამდე

## გაზ. „ივერია“

ჰღირს 8 მანეთად

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან.,11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

უგანათლებულესნი თავადნი პეტრე, გიორგი და მიხეილ ალექსანდრეს ძენი და [illegible] გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას პირველთა საყვარელის დედისა და უკანასკნელის დედამთილისას უგანათ. ქნინის

## ელენე ზაქარის ასულის გრუზინსკისას

დაკრძალვა განსვენებულისა მოხდება მცხეთის საკათედრო ტაძარში ოთხშაბათს 24 ამა აპრილისას. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე.

ისყიდება სურამში

იუნკერთა სასწავლებლის მახლობლად

## საუკეთესო საავარაკო ადგილები,

შემკული კარგის ჰავით, ტყით და წყაროებით. სასურველ დატოვებული ოზრდილი ადგილი ტყისა. სივრცე თითოეულის აგარაკისა 133—478 ჩორისაჟენი. უმთავრეს ქუჩა ათ საჟენისა. ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდომია, იკითხეთ „ივერიის“ რედაქციის კანტორაში 10—3 საათამდე (სასახლის ქუჩა. თავად-აზნაურობის ქარვასლა). (25—21)

ს.-პეტერბურგის კომპანი

## „ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა . . . . . 1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა . . . . . 2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 სააგენტოზედ მეტი ჰყრობიან რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილებს, კავკასიაში, შუა აზიაში, [illegible]

[illegible]

II. დაზღვევა.

[illegible]

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) [illegible]
ბ) [illegible] ცეცხლისაგან [illegible]
გ) [illegible]
დ) [illegible]

[illegible] „ნადეჟდა“-ს [illegible] № 10.

[illegible]

ტფილისის სააგენტოს სასახლის ქუჩაზე, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში ტელეფონი № 108. (120—6.—110).

წარმ. 49—11 ტელეფონი 617.

უკანასკნელი წარმოდგენა

ქ ა რ თ უ ლ ი თ ე ა ტ რ ი

კვირას, 27 აპრილს, 1903 წელს.

ვალერიან გუნია გამართავს წარმოდგენას

## ოტელო

ტრაგ. 5 მ. ვ. შექსპირისა, თარ. თავ. ი. მაჩაბლისა.

ამ პიესისათვის შეკერილია ახალი ტანისამოსები მოსუსიანცის სახელოსნოში და დახატულია ახალი დეკორაციები.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს $8\frac{1}{2}$ საათზე.

რეჟისორი ვ. გუნია.

ამ წლის მაისის თვეში ტფილისში გაიმართება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

## სახალხო სეირნობა

საქველ-მოქმედო ბაზარითურთ

შემოწირულობათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულის ჭავჭავაძესთან, ნიკოლოზის ქუჩა, № 21 და ქართველთა შორის წ.-კითხვის გამარცელებელ საზოგადოების კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა.

წმიდა ათონის მთიდგან.

ჩვენ ქართველთა ძმანი ივერიის ახალი სავანისა წმიდის დიდებულის იოანე მახარობელისა და ღვთის-მეტყველისანი, ვსთხოვთ სრულიად საქართველოს საზოგადოებას, ღვთის მოყვარეთა და იესო ქრისტეს მცნების აღმასრულებელთა, რათა ყურად იღონ ჩვენი გაჭირვებული ცხოვრება, ვინაიდგან ქართველთა აღშენებული ჩვენი ძველი ივერიის მონასტერი ძალ-მომრეობითა და უსამართლოდ მიიღეს, და სრულიად მიითვისეს თავისის სიმდიდრითა და მამულებითა ბერძენ ბერთა, და სუფევენ მას შინა, ვითარცა ფაშა. და არა რას მისგან ჩვენ არ გვაძლევენ, და ჩვენ ვიტანჯებით აუცილებელის საჭირო წყალის უქონლობისა გამო; ვინაიდგან წყარო გამოდის სამის ვერსის მანძილზედ და ამას სჭირდება მილით მოყვანისათვის სამი ათასი მანეთი. ჩვენ-კი სრულიად არა რაი გვაქვს. ამისთვის გთხოვთ ყოველთა ღვთის-მოსავთა ქართველთ სასულიეროთა და საეროთა, პატივცემულთა ვაჭართა, და ყოველთა მოხელეთა შეგვეწიონ, რაოდენითაც შეუძლიანთ ღვთის მცნების აღსრულებისათვის.

ჩვენი ადრესი:

Турція (черезъ г. Батумъ).

На св. Аѳонскую гору, въ Русскій св. Пантелеймона Монастырь, Архимандриту отцу Андрею для передачи въ Обитель св. Іоанна Богослова старцу Іеромонаху отцу Іонѣ съ братіею.

(10—2)

ექიმი

## ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფით საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბაროწის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

## ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის. კვირა-უქმეღღეებში 9—2-მდის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

## სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და კაბებს ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქროვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. გ. აფეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაზანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ა. ი. ზძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. $1—1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. $1—1\frac{1}{2}$ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ნ. ს. ლუზეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.

ქალი ექიმი ა. ი. შჩერბანინა $7—7\frac{1}{2}$ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. $7\frac{1}{2}—8$ საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7\frac{1}{2}—8$ ს.

ს. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана Тифлисъ, противъ памят. Ворон-

(წლ.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე—ორშ., ოთხშ., და შაბათ. 10—11.

ვ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით 10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. ბედემანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა— ორშ. ხოთშ. და შაბათი. $11\frac{1}{2}—12\frac{1}{2}$.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 ს.

ზრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარიესკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მუდმივი ექიმი გ. დ. ნასარიძე.

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

№ 46—8 ტელეფონი № 617

ტფილისი, 23 აპრილი.

როგორც ვუწყით, იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრი პრინეტტი სამსახურიდგან გავიდა და მის მაგივრად დაინიშნა ზღვათა მინისტრად ნამყოფი მორინო.

მართალია, პრინეტტის სამსახურიდგან გასვლის მიზეზად ავადმყოფობას ასახელებენ,—და შეიძლება ასეც იყოს,—მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ამ უკანასკნელ ხანებში დიდად ვერაფრად ემადლიერებოდა საზოგადოება მის პოლიტიკას ბალკანეთის შესახებ. ბალკანეთის საკითხი-კი დღეს პირველხარისხოვან საგნად გაჰხდომია მთელს ევროპასა, და განა ეპატივებოდა იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრს ამ მხრივ სისუსტე?

სრულიად სხვაა მისი მოადგილე მორინო, რომელმაც კარგა ხანია მიიპყრო საზოგადო ყურადღება თავის გამჭრიახ და მტკიცე დიპლომატიურ ნიჭითა და აღმოსავლეთის საქმეების ზედმიწევნით ცოდნითა. ამ ორიოდ თვის წინად, როცა პარლამენტში მაკედონიის შესახებ ასტყდა კამათი და დიდი უკმაყოფილება გამოითქვა ავსტრია-უნგრეთისა და რუსეთისადმი,—რომელნიც, ვითომდა, თავის სურვილისამებრ ატრიალებენ მთელს საქმეებსა, და იტალიას-კი სრულიად აღარა ეკითხებარაო,—მორინომ (მაშინ პრინეტტის დროებითმა მოადგილემ) სრულიად დაამშვიდა აღელვებული საზოგადოება. მინისტრმა განაცხადა,—თუ ზემოხსენებული სახელმწიფონი გზას არ გადაუხვევენ და,—როგორც თავს იდვეს,—მხოლოდ იმას ეცდებიან, რომ მშვიდობიანობა და წესიერება აღადგინონ ბალკანეთზე, ჩვენ მადლობის მეტი არა გვეთქმის-რა, რადგან ჩვენი გულითადი წადილიც ისაა, რომ status quo იქმნას მტკიცედ დაცული; ხოლო, თუ მათ დაპირება არ შეასრულეს და იარაღზედ მიდგა საქმე, ჩვენც იარაღს მივმართავთ და ჩვენს წილს არავის დავუთმობთო.

ეს იმედიანი სიტყვა მეტად მოიწონა პალატამ, რადგან დეპუტატთა დიდი უმრავლესობა იმ შიშს აცხადებდა,—ვაი თუ ჩვენმა გაიძვერა მოკავშირემ—ავსტრიამ ისე მოაჭახრაკოს საქმე, რომ რუსეთსაც თვალი აუბას და ალბანიამაკედონიაშიც ისევე გაბატონდეს, როგორც ბუკოვინასა და ჰერცეგოვინაშიო. იტალიას-კი დიდი ხანია ალბანიისაკენ უჭირავს თვალი და, თუ მართლა დანაწილებაზე მიდგა საქმე,—მას არავის დაუთმობს, განსაკუთრებით-კი ავსტრია-უნგრეთს, რომელიც შემდეგ ადვილად გაიკაფავდა გზას სალონიკისაკენ და ამგვარად ადრიატის ზღვის მოცილედ გაუხდებოდა.

ამას წინად ხმა დაჰყარეს,—ავსტრიასა და იტალიას შორის საიდუმლო ხელ-შეკრულობაა დადებული, რომლის ძალითაც, თუ პირველმა თავისი სამფლობელო ახლად შეძენილ მამულებით გააფართოვა, მეორესაც იმდენივე უნდა შეემატოსო. მაგრამ, როგორც მორინოს ზემორე მოყვანილ სიტყვებიდგანა სჩანს, დიდი ნდობა არა ჰქონია იტალიას მოკავშირის პირიანობისა და მიტომაცაა, რომ გაფაციცებით შესდგომია სამხედრო თადარიგს. იტალიის ჟურნალ-გაზეთობა ხომ ათასგვარ რჩევა-დარიგებას აძლევს მთავრობას ბალკანეთის შესახებ; იმართება ყრილობები, კითხულობენ ლექციებსა და სხ. ერთის სიტყვით, იტალია მოუთმენლად ელის, როდის აუგებენ წესს ალბანია-მაკედონიას, რომ მისს ქელეხში თავათაც წილი დაიდოს და მარტო ავსტრია-უნგრეთსა და რუსეთს არ მიანებოს მისი ჭირისუფლობა.

ამ აზრის მოტრფიალე იტალიის მთავრობისაგან გარეშე საქმეთა მინისტრად ისეთის კაცის არჩევა, როგორიც მორინოა, სწორედ რომ დროს შესაფერია. თუ-კი მისი წინამოადგილე ყოყმობდა და ვერავითარ გარკვეულ გზას ვერ დასდგომოდა, სამაგიეროდ ამას საუცხოოდა აქვს შესწავლილი ეს საკითხი და, როგორც ისმის, თავის საპოლიტიკო პროგრამმაში სწორედ ამისთვის დაუთმია პირველი ადგილი.

# ტფილისი

✦ ქსნის სადგურზედ ვიღაცა გლეხკაცისათვის ცხენს წიხლი ისე ძრიელ უსროლია, რომ სიკვდილს არ გადარჩებაო.

✦ 24 აპრილს, საღამოს 7 საათზედ, დანიშნულია ხორცის ვაჭრობის ექსპლოატაციის კომისიის კრება. კრებაზედ განიხილავენ ხორცის ვაჭრობის საქმის წარმოებას.

✦ შაბათს, 19 აპრილს, გარდახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი ხირსის მონასტერში მღვდელ-მონაზონ მ. ტარასის მიერ გივი ამილახვრის სულის მოსახსენებლად. ხალხი საკმაოდ დაესწრო. მ. ტარასიმ განუმარტა ხალხს, თუ ვინ იყო და რა ღვაწლი მიუძღოდა გივი ამილახვარს თავის სამშობლოს წინაშე.

✦ სოფელ ბაკურციხეში, გურჯაანში და კარდანახში (თელავის მაზრა) დაარსებულ საბალოსნო მასალების საწყობების გამგეთ დაუნიშნიათ თავ. ანდრონიკაშვილი. საქმის ხელშესაწყობად სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას უთხოვნია ხარჯთა ინსპექტორისათვის, რომ ამ საწყობებზედ ყურადღება იქონიოს.

✦ დღეს აკურთხებენ ქალაქის საკრედიტო საზოგადოების ახალ შენობას. კურთხევის შემდეგ იქნება ამ საზოგადოებას რწმუნებულთა წლიური კრება.

✦ 18 აპრილს, სოფელ ვაყაში (გორის მაზრა) შუაღამისას რამდენიმე კაცს გაუტეხნიათ სომხის საყდარი, შესულან შიგ და, რაც-კი მოხვედრიათ, ყველა წაუღიათ.

✦ კავკასიაში სწავლა-განათლების მზრუნველს ნება დაურთავს, რომ მშობლებმა იქონიონ სჯა-ბაასი თავიანთ შვილების სწავლის შესახებ მასწავლებლებთან.

✦ 20 აპრილს, ი. ნ. რეიტერის თავმჯდომარეობით იყო პირუტყვთა მფარველ საზოგადოების წლიური კრება. კრებაზედ საქონლის ექიმმა ბ-ნმა იანუშევსკიმ საბეითლო სამკურნალო საზოგადოების შესახებ ილაპარაკა და ამტკიცებდა, რომ საბეითალო სამკურნალოების საქმე ამჟამად ცუდათ არის მოწყობილიო. თუმცა რიცხვი იმათი ვისაც ეჭირვება დახმარება ამ დაწესებულებისა, დღითიდღე მატულობს, მაგრამ იმდენად-კი არა, რამდენათაც სასურველიაო რადგან სამკურნალოში დანიშნული ბეითალი ზოგიერთ შემთხვევაში ვერ უწევს თავის დროზედ დახმარებასაო, ამბობს იანუშევსკი, ამატომ საჭიროა, მოიწვიოთ რამდენიმე ბეითალი, რომლებიც ყოველ დანიშნულ დროს ავადმყოფ პირუტყვებს დახმარებას აღმოუჩენენო. ამასთანავე მოწვეულ ბეითლებს უნდა დაენიშნოთ საერთო წლიური შემოსავლიდამ ჯამაგირიო. ბ-ნი იანუშევსკის მოხსენება პირუტყვთა საზოგადოების საერთო კრებამ ერთხმად მიიღო და დაამტკიცა.

✦ როგორც ტფილისის გუბერნატორი ატყობინებს ქალაქის თავს, ამიერ კავკასიის პირველ ოლქის მთა მადნის ინჟინერს დაუთვალიერებია ნავთლუღის ნავთის ქვები და უცვნია, რომ ეს ქვები სრულიად მოუვლელია; მთა-მადნის ოლქის ინჟინერი სთხოვს გუბერნატორს განკარგულება მოახდინოს, რომ ქალაქის გამგეობამ ააშენოს ნავთის ქაზედ ფარდულები და კლიტით დაკეტოს. ამასთანავე გაიწმინდოსო და შეკეთდეს თვითონ ქვებიო.

✦ 18 აპრილს შეერთებულ კრებამ ქალაქის გამგეობისა და საფინანსო კომისიისამ გაიხილა საგანგებო კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი სათივეების ეზოების მოწყობის შესახებ; როგორც აღმოჩნდა, ეზოების მოსაწყობად დასჭირდება ქალაქს 40,000 მან. ფული. შეერთებულ კრებამ დაადგინა: გადაისინჯოს ხელმეორედ საგანგებო კომისიისაგან შემუშავებული პროექტი და განსახილველად წარედგინოს შეერთებულ კრებას.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზამ უკვე დაამთავრა ხიდის გაკეთება ქარელის ზემოთ დოღლაურში—ახალის რკინის ხიდისა.

✦ 23 აპრილს, „ტფილისის კრუჟოკის“ დარბაზში, კავკასიის სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართება წარმოდგენა.

✦ ამ დღეებში სამეურნეო კომიტეტი შეუდგება ფოთში ქალთა გიმნაზიის შენობის აგებას. შენობისათვის, როგორც ამბობენ, კომიტეტს არ დასჭირდება ბანკიდამ ფულის სესხება. კომიტეტში მონაწილეობას იღებენ: ა. ქვანია, ვ. თოფურიძე, ე. გაბელია, გ. საბახტარაშვილი და სამანჯი.

✦ 21 აპრილს ქალაქის თავმა თ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა, გამგეობის წევრის თ. ვ. ხ. ჩერქეზიშვილის თანადასწრებით, დაათვალიერა ქალაქის საავადმყოფოები. სხვათა შორის, გადასინჯა საავადმყოფოების ხარჯისა და შემოსავლის წარმოების დავთარი და ქალაქის ქიმიური ლაბორატორია დაათვალიერა.

✦ 21 აპრილს ბათუმიდამ ტფილისში ჩამოვიდა ოსმალეთის კონსული რაფიკ-ბეი.

✦ თეატრის მახლობა „ბელვიუს“ ბაღში უკვე მალე დამთავრებული იქმნება. როგორც ამბობენ, თეატრში მაისის დამდეგს წარმოდგენები დაიწყობაო.

✦ სოფელ ახალდაბაში (გორის მაზრა) ადგილობრივ გლეხის ბავშვებს: წყალობა ქუჩიაშვილს, 4 წლისას, ლიზა სეხნიაშვილს, 2 წლისას და დათა გოგებაშვილის ქალს, 3 წლისას, დათა გოგებაშვილის საბძელში ცეცხლი დაუნთიათ და თამაშობა დაუწყვიათ. ცეცხლი წაჰკიდებია საბძელს და სულ გადამწვარა. ცეცხლ-წაკიდებულ საბძლიდამ, როგორც იყო, ძლივს გამოუყვანიათ სამნი, მხოლოდ ერთი პატარა ქალი ლიზა სეხნიაშვილისა სულ დამწვარა. აქედამ ცეცხლი მოსდებია ახლა სხვა საბძლებს.

**ტფილისის ქალაქის საბჭო.** კრება დაიწყო საღამოს $8^1/_2$ საათზედ. წაკითხულ და დამტკიცებულ იქნა მეუცვლელად წინა კრების ჟურნალი. სანამ საბჭო საქმეების გარჩევას შეუდგებოდა, ხმოსანი ა. ბაბოვი შეეკითხა ქალაქის თავს, ხალხში ისმის და ჩვენც დარწმუნებული ვართ, რომ ქალაქის საყასბოებს დიდი ზარალი მოსდით, ზარალის თავიდგან ასაცდენათ და საყასბოების მოსაწესრიგებლად საბჭომ ცალკე კომისია ამოირჩია, რომელსაც მიანდო ამ საქმის გამოკვლევა; რას აკეთებს ეს კომისია, რატომ ამდენს ხანს თავის მოქმედების ანგარიშს არ უდგენს საბჭოსო.

ქალ. თავი. მართალია, ქალაქს დიდი ზარალი მოუვიდა ხორცის ვაჭრობიდგან, რაც ეს ვაჭრობა გაიმართა დღემდის 17,950 მანეთი ზარალი აქვს ქალაქს, მაგრამ იმ 50 ათას მანეთიდგან, რომელიც ქალაქმა ამ საქმისთვის გადასდო, ქალაქს 27 ათას მანეთამდე შეუძლიან დაიბრუნოს, თუ იგი ამ საქმეს გააუქმებს. რას აკეთებს კომისია, ამას კომისიის თავმჯდომარე თავ. ჩერქეზიშვილი მოახსენებს საბჭოს.

თ. ჩერქეზიშვილი. კომისია ჯერ ამ საქმის შესახებ საბუთების ქაღალდების განხილვაშია და, გაათავებს, თუ არა, ამ საქმის შესახებ მუშაობას, მაშინვე წარმოუდგენს საბჭოს თავის მოხსენებას. მართალია, ქალაქმა ხორცის ვაჭრობით იზარალა, მაგრამ ეს ზარალი დროებითია, რადგან ქალაქისათვის ხორცის ვაჭრობა ახალი საქმეა; სწვევ მოსვლია პირველ ხანებში რუსეთის ყველა ქალაქებს. მაგრამ იმედია ეს საქმე მალე კარგად მოეწყობა და ქალაქს სარგებლობას მისცემს. ამ ბოლოს დროს ქალაქს რომ დიდი ზარალი მოუვიდა, ეს იმის ბრალია, რომ ქალაქში საკლავი საქონელი ცოტა მოჰქონდათ. ა. ბაბოვი. ამ ცოტა ხანში ამ საქმის შესახებ მე საბჭოს განცხადებას წარმოუდგენ ხორცის ვაჭრობის გაუქმების შესახებ. ამდენი ზარალი აუტანელია. რადგან ეს საქმე ხეირს არ გვაძლევს, ჩემის ფიქრით, უმჯობესია გაუქმდეს.

შემდეგ გამგეობამ მოახსენა და საბჭომაც დაამტკიცა გამგეობის დადგენილება მ. ი. არამიანცის სააავადმყოფოს დასაარსებლად ათი ათასი თუმნის შესახებ.—ამას წინედ მოხსენებული იყო ჩვენს გაზეთში ამ უხვი შეწირულების შესახები ამბავი. საბჭომ დაადგინა, მიღებულ იქმნას არამიანცის შემოწირულება, გამოეცხადოს მადლობა უხვის შემოწირულებისათვის, აშენდეს ქალაქში საავადმყოფო, რომელსაც ეწოდოს ბ-ნ არამიანცის სახელი მის პატივსაცემლად; მასვე პატივსაცემლად ქალაქს ჰქონდეს საავადმყოფოში ათი საწოლი არამიანცის სახელით და გაეგზავნოს არამიანცს დეპუტაციად ხუთი ხმოსანი მადლობის გამოსაცხადებლად; დეპუტაციის შედგენა ხმოსანთაგან მიენდოს ქალაქის თავს.

ლაპარაკი გამოიწვია მ. გ. თუმანოვის სურვილმა, რომ არამიანცს, და შემდეგ მისს მემკვიდრეებს მიეცეთ ნება, რათა იმ ათი საწოლის კანდიდატები, რომელიც არამიანცის სახელით იქმნება, თითონ ამოირჩიონო. მაგრამ ეს სურვილი ხმოსნების უმეტესობამ ნაწილმა უარჰყო და, როგორც ზემოთაც ვსთქვით, ათი საწოლი მხოლოდ არამიანცის პატივსაცემლად იქმნება, ავადმყოფების მიღება-კი საავადმყოფოს გამგეობას ექმნება მინდობილი.

ხმ. ხუდადოვი. (ქალაქის თავს შეეკითხა) ამ ხუთი თვის წინად გამგეობაში ვრცელი და დასაბუთებული განცხადება შემოვიტანე იმის შესახებ, რომ ქალაქის მიწების იჯარით გაცემაში გამგეობას დიდი უკანონობა ჩაუდენია და ვითხოვდი ჩემი განცხადება საბჭოსთვის მოეხსენებინა,—რა არის მიზეზი, ამდენს ხანს ჩემის სურვილის აუსრულებლობისა?

თ. ჩერქეზიშვილი. მეიჯარადრეებთან პირობა გვაქვს დადებული, ეს პირობა ქალაქისათვის სავალდებულოა და სანამ ამ პირობას ვადა არ გაუვა, მათი შესწორება შეუძლებელია.

ბოლოს საბჭომ მოისმინა საფინანსო კომისიის მოხსენება გამგეობის დადგენილებაზედ იმის შესახებ, თუ ქალაქი ამ 1903 წ. რამდენს შემოსავალს უნდა მოელოდეს.

კომისიის აზრით, ამ წელს ქალაქს 1,972,206 მან. უნდა შემოუვიდეს, მხოლოდ გამგეობას გადაუწყვეტია შემოსავალი 1,433,202 მ.; შარშან შემოსავალი ყოფილა 1,401,186 მან., მაშასადამე, წელს გამგეობის ფიქრით 32,116 მანეთი მეტი უნდა შემოვიდეს.

ქალაქის გამგეობას ზოგიერთის შემოსავლის ჯამი, საფინანსო კომისიის მიერ აღნიშნული, გაზვიადებულად მიუჩნევია და შეუმცირებია, ზოგისთვის-კი მოუმატებია. გამგეობამ ის მუხლები, რომლებშიაც იგი კომისიას არ დასთანხმებია, საბჭოსთვის წარმოუდგენია და საბჭომაც თითქმის ყველა მოიწონა. ქალაქი ამ წელს მოელის 1,433,202 მანეთს. აქედგან:

1) უძრავ ქონებათა დაფასებიდგან უნდა შემოუვიდეს 499,462, შარშანდელზედ 17,773 მანეთით მეტი.

2) ვაჭრობისა და მრეწველობის გადასახადი—132.744, შარშანდელზედ 6800 მან. მეტი.

3) ცხენების გადასახადი 41,000, შერშანდელზედ 2600 მ. მეტი.

4) სხვა-და-სხვა გადასახადებისგან 17,342, 6160 მან. მეტი შარშანდელზედ.

5) ქალაქის ქონებისაგან 120,965, შარშანდელზედ 5,929 მან. მეტი.

6) დახმარება ქალაქისა და დასაბრუნებელი ხარჯები 131,137 მან. შარშანდელზედ 9,289 მან. ნაკლები.

7) სხვა და-სხვა შემოსავალი 30,084 მან., 29 მან. მეტი შარშანდელზედ.

კრება გათავდა 12 საათზედ.

# ჩვენებური ამბები

**ქუთაისი.** 17 აპრილს კრება ჰქონდა ქუთაისის სამეურნეო ფრინველთ მომშენებელ საზოგადოების წევრთ.

თავმჯდომარედ ამოირჩიეს ე. ვუჩინო, მის ამხანაგად—კ. ღ. მაჭავარიანი, მდივნად—ნ. თ. მკურნალი. რჩევის წევრებად: ა. ბ. ლორთქიფანიძისა, ბ. ლანგი და ს. გ. ყიფიანი. წევრებად ეწერებიან ქუთაისის მანდილოსნები. დარწმუნებულნი ვართ, თუ ჩვენმა მანდილოსნებმა გულმხურვალედ მოჰკიდეს ხელი საქმეს, ჩვენი სამეურნეო წვრილ-ფეხობის მოშენების საქმე წინ წავა.

**სოხუმი.** ჯერ წარსულ წლის შემოდგომაზე ამცნო ქვეყანას გაზ. „შავის ზღვის უწყებამ“ („Черном. Вѣст.“) რომ სოხუმში არჩევნების წინ დას-დასობა არ არსებობსო და წინდაწინვე მიულოცა სოხუმს სასურველი არჩევნები,

შეიძლება ბ-ნ პალმასათვის იყოს სასურველი სოხუმის მომავალი არჩევნები, თორემ თვით სოხუმისათვის-კი არა მგონია რამე ხეირი მოიტანოს, რადგანაც სოხუმში არამც თუ დას-დასობა არ არსებობს, არამედ სრულებით არავინ ჰზრუნავს მომავალს არჩევნებისათვის და, ნუ თუ უზრუნველობის შედეგი სასარგებლო იქნება?

რასაკვირველია—არა და, თუ მაინცა და მაინც პალმის გაზეთმა ქება-დიდება შეასხა სოხუმელთა ასეთს საქციელს, ეს მხოლოდ იმისთვის, რომ ეშინოდა ძილი არ დაეფრთხო იმ ელემენტისათვის, რომელსაც არასასურველადა სთვლის ბ-ნი პალმი თავისთვის და ასეც მოხდა: პალმის ნანამ მხოლოდ სოხუმის ქართველი საზოგადოება დააძინა, თორემ დანარჩენი მცხოვრებლები უკვე შეუდგნენ თავდარიგს; ჰმართავენ კერძო კრებას და კრებაზედ სცდილობენ მომზადებულნი გამოვიდნენ არჩევნების დროს, რომ ხელთ ჩაიგდონ ბურთი და მოედანი.

ეს ასეც იქნება, რადგან სოხუმის მცხოვრებთა ქართველი ნაწილი ნარდისა და ბილიარდის თამაშს უფრო ატეხს თავს, ვიდრე საზოგადო საქმეს და ის კი სრულებით არ აწუხებს, რომ ამ დაუდევრობის წყალობით ქალაქის თვითმმართველობიდან განდევნილნი იქნებიან იმ ხალხის წარმომადგენელნი, რომელნიც სოხუმის მცხოვრებთა უმეტესს ნაწილს შეადგენს და რომლის ინტერესების დაცვაც აუცილებელ საჭიროებად უნდა მიაჩნდეს ყოველს შეგნებულს ადგილობრივს მკვიდრს.

ჯერ დღესაც ქალაქის სამმართველოში ერთი უბრალო მწერალი და მოსამსახურე ბიჭი არ მოიპოვება ადგილობრივ მკვიდრთაგანი და მომავალში ხომ საბჭოდანაც განდევნილ იქნებიან.

ახლავე ვეცადოთ, ბატონებო, არ დავკარგოთ ის, რაც კანონმა გვაკუთნა, თორემ მერმე გვიანღა იქნება „თითზე კბენანი“.

კოლო.

**ლეჩხუმი.** ამ რამდენისამე წლის წინად, როდესაც ლეჩხუმის მაზრას უფროსობდა ბ-ნი ალშიბაია, დაიბადა ის აზრი, რომ თავად აზნაურთა ერთ კლასიანი სასწავლებელი გადაკეთებულიყო ოთხ კლასიანად და იქ მაზრის მკვიდრთა ყოველ წოდების მოზარდ თაობას უფლება ჰქონოდა შესვლისა და ოთხის კლასის სწავლა ცოდნის შეძენისა. ამ აზრს თანაუგრძნობდა ბ-ნი მაზრის უფროსი და სცდილობდა მის განხორციელებას, მაგრამ იმ დროს, არა თუ განხორციელება აღნიშნულის საკეთილო აზრისა არ მოხერხდა, შუამდგომლობის აღძვრაც ვერ გაბედა ლეჩხუმმა, საცა ჯერ იყო, რადგან ოთხკლასიან სკოლის შენახვა ნივთიერად მხრივ, მთავრობის დაუხმარებლად, აუტანელ ხარჯად მიიჩნია მაზრის მკვიდრთა უმეტესმა ნაწილმა.

თუ იმ დროს, როდესაც ზემო აღნიშნულმა აზრმა თავი იჩინა განხორციელება მისი მოუხერხებელი იყო უსაღსრობისაგან ხელმოკლეობის მიზეზით, ან სხვა ხელის შემშლელ გარემოებათა გამო, ახლა, ჩვენის აზრით, მისი განხორციელება შესაძლებელია, თუ კი მაზრის მკვიდრთა ყოველი წოდება შეერთებულის ღონით იმეცადინებს. როგორც მოგეხსენებათ სწავლა განათლების მთავრობამ უკვე საჭიროდ სცნო ლეჩხუმში დააფუძნოს სამკლასიანი სასწავლებელი. ჩვენის აზრით, ლეჩხუმს ამხანად ხელის შემწყობი დრო დაუდგა და შესაძლოა ახლა ეღირსოს ოთხ კლასიან სასწავლებელს, რაკი სამ კლასიან სკოლის დაფუძნება მთავრობისაგან ოფიციალურად აღიარებულია, თავად-აზნაურობამ უნდა იშუამდგომლოს სათანადო მთავრობის წინაშე, რომ მათი ერთ კლასიანი სკოლა შეუერთონ მომავალ სამ კლასიანს და ამნაირად, სამიანის მაგიერ, დაა-

# ფელეტონი

## იმპერატორის ნიკოლოზ 1-ს მოგზაურობა საქართველოში.

(დასასრული *)

„2 ოქტომბერს მივიღე სპარსეთის ტახტის მემკვიდრე ვალიატი [1]), შვიდ ს წლის ყმაწვილი, რომელსაც შაჰის ელჩი ახლდა. მე მუხლებზე დავისვი დიდად ლამაზი ბავშვი და მივმართე ელჩს ფრიად მკვახედ. ავუხსენი, რომ ყოველი მის მიერ წარმოთქმული დარწმუნება მშვენიერი ლიტონი სიტყვაა, ხოლო მე მაგ სიტყვებს ვერ დავუჯერებ, სანამ სპარსეთი, არამც თუ აქეზებს ჩვენს ჯარისკაცებს იქ გაპარვისათვის, არამედ მათგან ცალკე რაზმებსაც ადგენს-მეთქი, მე დავსძინე, რომ მოვითხოვ დაუყოვნებლივ დაგვიბრუნონ ჩვენგან გარდახვეწილნი ჯარის-კაცები და თუ ეს ასე არ მოხდა, მე ჩავთვლი სპარსეთს ჩვენდამი მტრულად მომქცევ სახელმწიფოდ-მეთქი. დასასრულ ვუთხარი, რომ ჩემის მხრით მე სასტიკად ვასრულებ ყოველ ტრაქტატებს და იმასაც მოვახერხებ, რომ შაჰმაც მტკიცედ შეასრულოს. თუმცა ეს ასე მოხდა, ჩვენ მაინც ერთმანეთს გამოვესალმენით, ვითარცა კეთილი მეგობრები და მან შაჰის სახელით მომართვა: მშვენიერი ცხენები, მარგალიტები და ბევრი შალები.

„იმ დღეს ჩუხლში გავათიე ღამე, 7-ს კოდაში, ხოლო 8 ოქტომბერს ნაშუადღევის 3 საათზე დიდის ამბით და ზეიმით შევედით ტფილისში, სადაც ზარბაზნების სროლამ და ზარების რეკამ აუწყა მკვიდრთ ჩვენი მისვლა; ქუჩები და მიწურ სახლების სახურავები აუარებელი ხალხით იყო სავსე, ხოლო ნაირ-ნაირი იქაური მდიდრული ტანისამოსი მშვენიერ სანახავს წარმოადგენდა. რომ საკმაოდ დაგიხატოთ, თუ რა გულ-მხურვალედ მიმიღეს, უნდა შევადარო ეს მიღება იმ დახვედრას, რომელსაც აქ, მოსკოვში, ვარ ჩვეული და სწორედ გასაოცარია, რომ ხალხის ერთგულობის გრძნობა მონარხისადმი ვერ გააქრო იმ საძაგელმა მმართველობამ, რომელიც, უნდა გამოვსტყდე, ჩემდა სამარცხვინოდ, ამდენი ხანია ამ ქვეყანას აწევს კისრად.

„ტფილისი დიდი და მშვენიერი ქალაქია. თუმცა შუაგულ ქალაქს უფრო აზიის ელფერი ადევს, მაგრამ გარეთ უბანი ჩვენ გემოვნებაზეა გაშენებული და ბევრი აქაური სახლი ნევის პროსპექტსაც არ დააუშნოებდა.

„9 ოქტომბერს, დილას, შემდეგ ლოცვისა მიძინების ტაძარში, სადაც აუარებელი ხალხი იყო,—დავესწარი ერევნის კარაბინერთა პოლკის აღლუმს. შუა დღეს მივიღე ხანები და მთიულების სხვა-და-სხვა ტომის საპატიო კაცნი, რომელნიც ჩემ ჩამოსვლაზე შეკრებილიყვნენ ტფილისში, და შემდეგ დავათვალიერე საკორპუსო შტაბი, საავადმყოფო, არსენალი, კავკასიის საპიორთა ბატალიონის ყაზარმები, მასთანვე მოწყობილი სასწავლებელი ქართველ ახალგაზრდა თავად-აზნაურებისა და საპყრობილე. ყოველივე ჩინებულად იყო მოწყობილი.

„10 ოქტომბერს წირვა მოვისმინე წმ. გიორგის ეკკლესიაში [2]); დავათვალიერე ტფილისის მეციხოვნე ჯარი და მომეწონა, მეტადრე არტილლერია.

„11 ოქტომბერს, ჯარისა, სამხედრო ქსენონისა, კომისსარიატის დეპოსა და აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკის დახედვის შემდეგ, მივიღე ქართველი თავად-აზნაურობა, რომელიც ჩემს „კონვოის“ შეადგენდა და ახლა ჩემს ოთახს სდარაჯობდა; ისინი წარმოსდგნენ მშვენიერ ცხენებზე და უძვირფასეს ტანისამოსში მორთულნი და ჩემს წინაშე ურთიერთ შორის ეჯიბრებოდნენ, ვინ ვის ვაჯობებდა ცხენის ჭენებაში და იარაღის დახელოვნებით ხმარებაშიო. ერთი მეორეზე მარჯვე იყო და მათ შორის ბევრი ისეთებიც იყვნენ, რომელნიც ჩვენს ქალებს გააგიჟებდნენ.

„საღამოს დავესწარი რიცხვ-მრავალ ბალზე. ქალები უფროს-ერთნი მორთულნი იყვნენ თავისს ეროვნულ ტანისამოსით, რომელიც ტანადობას ჰფარავს და არც ისე შნოიანი არის, ხოლო ბევრი მათგანი სწორედ რომ მომხიბლავის მშვენიერებით ბრწყინავდა, მაგრამ ეგევე არ ითქმის ზოგიერთის მათგანის გონიერებაზე.

„საზოგადოდ უნდა ვაღიარო, რომ საკმაოდ კმაყოფილი დავრჩი საქართველოს დათვალიერებით. გზების მდგომარეობა და გუმბრის ციხე როზენის მზრუნველობას გვიმტკიცებს, ხოლო ადმინისტრაციაში სუფევს სხვა და სხვა უწესოება, ისრე მაგრად ფესვმოკიდებული, რომ ვერც-კი წარმოიდგენს ადამიანი. სენატორმა უანმა რამდენიმე თვეს ამ ქვეყანაში რევიზია დაიწყო და აღმოაჩინა მრავალი საშინელი ბოროტება რომელიც თუმცა ბარონ როზენის დანიშვნამდე გაჩენილა და რომელსაც უკიდურესობამდე უნდა აღელვებინა იქაურნი მკვიდრნი, რაც უნდა შეჩვეულნი ყოფილიყვნენ ბრმა მორჩილებას. საიდაც არ გაიხედავ, ყველგან საშინელი თვითნებობა სუფევს. ჯარის უფროსნიც-კი ისეთ ბოროტ-მოქმედებას კადრულობდნენ, რომ არც-კი გაგონილა.

„მაგალითად, თავადი დადიანი, ბარონ როზენის სიძე და ჩემი ფლიგელ-ადიუტანტი, რომელიც ტფილისის მახლობლად—16 ვერსზეა დაშორებული,—პოლკს უფროსობდა, გამორეკდა თურმე სალდათებს, ნამეტურ რეკრუტებს ტყის საჭრელად და თივის მოსათიბავად, ისიც ხან-და-ხან კერძო მებატონეთა მამულში, და შემდეგ ამ ნადავლს ასაღებდა თვითონვე ტფილისში, მთავრობის თვალწინ. ამას გარდა, სალდათების ცოლებს თავისათვის ამუშავებდა და სალდათებს, ყაზარმების მაგიერ, წისქვილი ააშენებინა, ხოლო დიდძალ ფულში, რომელიც ყაზარმების ასაგებად იყო დანიშნული, არავითარი წილი არ დაუდო უბრალო ჯარის-კაცებს. დასასრულ, ამ თავგასულმა 200 რეკრუტი, რომელიც სამხედრო სამსახურისათვის გასაწვრთნელად ჩააბარეს, ფეხშიშველი და ჩაუცმელი ცხრებისა, ხარების და აქლემების მწყემსად დააყენა. ეს სწორედ ნამეტანი იყო და, ამის გაგონებისათანავე, ვაფრინე ჩემი ფლიგელ-ადიუტანტი ვასილჩიკოვი საქმის გამოსაძიებლად. ყველაფერი გამოაშკარავდა სწორედ ისე, როგორც გაგონილი მქონდა. ამისთანა სისაძაგლის ჩადენის შემდეგ, მკაცრად მოპყრობის მაგალითის ჩვენება საჭირო იყო. აღლუმის დროს კომენდანტს ვუბრძანე ექსილბანტებისა და ჩემის შიფრის ჩამოგლეჯა თავად დადიანისათვის, ვითარცა ისეთის კაცისათვის, რომელიც ღირსი აღარ იყო ჩემ ფლიგელ-ადიუტანტად დარჩენილიყო. თავადი დადიანი იქვე მეიდნიდან [3]) ბობრუისკის ციხეში გავისტუმრე, რათა დაუყონებლივ სამართალში მიეცათ სამხედრო წესისამებრ. ვერ აგიწერთ, თუ რა მძიმე იყო ჩემთვის ამგვარი სიმკაცრის ჩადენა და რამდენად შემაწუხა ამ უსიამოვნებამ. თავს ვინუგეშებდი მით, რომ ჩემი წმინდა მოვალეობა ავასრულე და ყველაზე მეტად დამნაშავეს, საკუთარს ჩემს ფლიგელ-ადიუტანტს თავზარი დავეცი, და ამ მსხვერპლით ვიხსენი სხვა პოლკის კამანდირები, რომელნიც ცოტად თუ ბევრად ამნაირივე ბოროტ-მოქმედებას ჩადიოდნენ.

„აქ [4]) ამგვარი მოპყრობა თვითნებობა იქნებოდა, უსარგებლო და დასაგმობი სასტიკობა გამოვიდოდა, მაგრამ აზიაში,—რომელიც თვალუწვდენელ მანძილით დაშორებულია ჩემს ზედამხედველობას,—ამიერ კავკასიურის ჩემის არმიის პირველ დახედვაზე საჭირო იყო მეხის დაცემა ყველას შესაშინებლად და ჩემის

*) იხ. „ივერია“, № 87.

[1]) ბროსე მას უწოდებს ვილ-მირზად.

[2]) ქვაშვეთისა.

[3]) ახლანდელ ალექსანდრეს ბაღიდან, რომელიც მაშინ „ყაბახად“ იყო წოდებული.

[4]) რუსეთში.

ფუძნონ ოთხ კლასიანი სასწავლებელი. რაც თავად-აზნაურთა სკოლის შესანახად ფული იხარჯება, ის მიემატება მთავრობის მიერ სამ კლასიან სკოლისათვის გადადებულს თანხას; გარდა ამისა, მთელის მაზრის მკვიდრნი, რასაც დღეს სამ კლასიან სკოლის შესანახად შემწეობას სთხოვენ, იმას იკისრებენ და ოთხ კლასიან სასწავლებლის არსებობაც ნივთიერის მხრივ უზრუნველ ყოფილი იქნება.

სწავლა განათლების საჭიროება და მისი დიდი მნიშვნელობა ადამიანთა ცხოვრებაში, ლეჩხუმის მკვიდრთაც, რასაკვირველია, შეგნებული უნდა ჰქონდეთ, მაგრამ თუ ამ მაზრის მოზარდ ახალთაობის უმრავლესი ნაწილი სრულიად უსწავლელი და გონება გაუნათლებელი რჩება, ამის მიზეზი ის გარემოება არის, რომ ლეჩხუმს არა აქვს თავის მაზრაში ისეთი სკოლა, რომელმაც მათ შვილებს მისცეს ცხოვრებაში საჭირო და გამოსადეგი სწავლა.

ქუთაისში არსებულ სასწავლებლებით რომ ლეჩხუმის მაზრა ვერ სარგებლობს და ვერ ზრდის მათში თავის შვილებს, თუ სიშორისა თუ ნივთიერის მხრიივ ულონობის გამო, ეს ყველასაგან დანახულია. მაშასადამე, ოთხი კლასი რომ ადგილობრივ დაამთავროს ლეჩხუმის მოზარდმა თაობამ, ოთხის კლასის სწავლა-ცოდნა თავის მაზრაშივე შეიძინოს, ეს დიდად წინწამწევი საქმე იქნება სწავლა-განათლების ასპარეზზე ლეჩხუმის მაზრის ახალთაობისათვის.

„ყვავს თვალი არ ჰქონდა, ღმერთს წამწამსა სთხოვდაო“, ნათქვამია.

ლეჩხუმელებისათვის, რომელთაც ჯერ ისიც ვერ მოუხერხებიათ, რომ თავიანთ ვაჟებს პირველ დაწყებითი სწავლა მაინც შეაძენინონ ადგილობრივ, ქალების აღზრდისა და განათლების საჭიროების რჩევა-მოძღვრება, რასაკვირველია, მეტ ბარგად მისამჩნევია... მაგრამ ეგ საკითხი-კი ისეთი დიდმნიშვნელოვანია ჩვენს ცხოვრებაში, რომ მის გვერდის ავლა და უყურადღებოდ დატოვება ყოვლად შეუძლებელია. დედათა წესიერად აღზრდასა და განათლებას ისეთი დიდი ალაგი უჭირავს კაცობრიობის პროგრესის ისტორიაში, როგორიც მამაკაცთა აღზრდა-განათლებას ამისათვის ყოველი განათლებული და ჭკუა-გონებით წინ წასული ერი სცდილობს დედათა განათლების საქმე გვერდში ამოუყენოს მამათა განათლებისას, რომ დედაკაცი სწავლა-განვითარებით და გონების გახსნილობით დაბალ საფეხურზე არ იდგეს მამაკაცზე. ამისათვის განათლებული ხალხი ერთნაირად ჰზრუნავს და ეწევა ხარჯს ორთავე სქესის ადამიანთა თანასწორად განათლებისათვის. ჩვენში-კი, სამწუხაროდ, დედათა სწავლა-განათლების საქმე ძალიან უყურადღებოდ არის დატოვებული; ყოველგვარ საზოგადო საჭირო საგანს უპირატესი ადგილი აქვს დათმობილი, ვიდრე ამ საქმეს.

დიაღ, ვერც ერთი კუთხე ჩვენის ქვეყნისა ვერ დაიქადნებს, რომ ამ საშვილიშვილო საგნის შესახებ ჰზრუნავდეს ისე, როგორც თვით საგანს შეეფერება. მაგრამ ლეჩხუმი ამ შემთხვევაშიაც განსხვავებულს არა სანუგეშო სურათს წარმოგვიდგენს. ამ მაზრაში, არა თუ ზრუნავს და მეცადინეობს ვინმე ქალთა განათლებისათვის, აზრადაც არავის მოსდის მისი საჭიროება!..

ძველებური, ჩვენებური აღზრდა დედათა სქესისა და ის სწავლა-ცოდნა, რომელსაც აძლევდა ახალ-გაზდა ქალს მშობლიური სკოლა, (ე. ი. ოჯახი, მშობლები), ახლა გამოუსადეგრად არის ცნობილი, საკადრისად აღარავის მიაჩნია... ხოლო ახალის ტიპის სწავლა-ცოდნის მიმნიჭებელი ღონისძიება ლეჩხუმელ ახალგაზდა ქალთა არსაიდან უჩნდება. ამ მაზრის ქალთ ახალთაობას სწორედ ისე მოსდის, როგორც ერთი ანდაზა ამბობს: დიდის ღირსი არა მყავს და პატარა არ მაკადრესო...

დამაღონებელი უნდა იყოს ყველასთვის, როდესაც ჰხედავს სასწავლო ჰასაკში მიწევნილ ახალგაზდა ქალთა გუნდს, რომელსაც ნიჭი აშკარად ემჩნევა ყოველ გვარ სასარგებლო სწავლა-ცოდნის შეძენისა და შეთვისებისა, მაგრამ მზრუნველი არავინ ჰყავთ. სწავლა-ცოდნის მიმნიჭებელი ტაძარი არსად სჩანს მათთვის... ქუთაისში ქალების ჩაყვანა და იქაურ სასწავლებელში დაბინავება ათასში ერთმა თუ შესძლო ლეჩხუმელმა, ისიც დიდი ამბავია. დანარჩენი-კი რჩებიან სრულიად უსწავლელნი. არც არა თავისი მშობლიური იციან-რა, და არც არა სხვისი.

დროა ლეჩხუმის მკვიდრნი დაფიქრდნენ ამ საყურადღებო საგანზე და იზრუნონ თავიანთ ქალიშვილების ყოფა-მდგომარეობის შესაფერად აღზრდისათვისაც.

ქაიხოსრო გელოვანი.

## რუსეთი

სატახტო ქალაქის გაზეთებში დაწვრილებით აწერილია კიშინევში მომხდარ ებრაელებზე თავდასხმის ამბავი. მას შემდეგ, რაც „Новое Время“-ში, „Свѣтъ“-ში და „Бессарбецъ“-ში ცნობილი ხასიათის წერილები იყო დაბეჭდილი ადგილობრივ მკვიდრ ებრაელთა შესახებ, ქალაქის მცხოვრებლებმა ცხადად მტრულის თვალით დაუწყეს ცქერა ებრაელთ. ხალხში ყოველ დღე შეგეძლოთ გაგეგონათ შემდეგი სიტყვები: „მგონი მალე უნდა სცემონ ებრაელებსაო. მცხოვრებელთა უმრავლესობა მოლდავანელებია, მშვიდობიანი ხალხი, ამიტომ არავინ აქცევდა ყურადღებას ამ სიტყვებს. დადგა აღდგომის დღე. ხალხი თავმოყრილი იყო სადღესასწაულოდ ქალაქის მოედანზედა, თავს იქცევდა სხვა-და სხვა გასართობით. რამდენიმე კაცი ებრაელნიც დადიოდნენ ხალხში და ათვალიერებდნენ ქრისტეანეთა დღესასწაულს. შუადღეზედ ხალხი უცბად აღელდა: ებრაელები განშორდნენ ხალხს და გაიქცნენ თავიანთ სახლებისკენ. მათ პატარა ბიჭები მისდევდნენ, ქვებს ესროდნენ და ყვიროდნენ: „სცემეთ ამ ურჯულოთაო!“ ისედაც მღელვარე ხალხი ამ ყვირილმა უფრო წააქეზა და გაეშურა ქუჩებში: უმრავლესობა ახალი ბაზრისკენ მირბოდა. გაისმა საზარელი ვაშა-ვაშას ყვირილი. მთვრალი ხალხი ამტვრევდა ებრაელთა სახლების ფანჯრებს, კარებს და გაშმაგებულ ბრბოს მხეცურ ყვირილს შეუერთდა გულის შემზარავი კივილი ებრაელთა ქალების და ბავშვების, რომელთაც უწყალოდ სცემდნენ. ნახევარ საათში აღელვებულმა ხალხმა ვოგზალთან მოიყარა თავი და, ვისაც ჩაიგდებდა ხელში ებრაელთაგანს, სცემდა, სანამ ცნობა არ დაეკარგებოდა უბედურს. ღარიბ-ღატაკი ხალხის ქოხები დაანგრიეს, მათი საწყალი ბარგი-ბარხანა ნაკუწ-ნაკუწად აქციეს და ქუჩაში ისვროდნენ. დღის 3 საათზევაშას ყვირილი, შტვენა და გვრგვინვა ისმოდა შუაგულ ქალაქში. ღამე მშვიდობიანობა იყო და ყველას ეგონა, რომ უკვე დასრულდა ეს საზარელი ამბავიო. მაგრამ დილა რომ გათენდა, მრავალმა ხალხმა მოიყარა თავი ბაზარში და ქალაქის ქუჩებში. ხალხი ახლა ურმებით, ცულებით და ლომებით იყო შეიარაღებული. ანგრევდნენ მდიდართა მაღაზიებს, ფხრეწდნენ საქონელს და ქუჩაში ისვროდნენ. დაიტაცეს ტანისამოსი, ქუდები და ფეხსაცმელი. პოლიციამ ვერაფერი გააწყო: ხალხი თავისას არ იშლიდა. შუადღეზე გავრცელდა ხმა: ბევრი ებრაელებია მოკლული ქალაქის სხვა-და-სხვა უბნებშიო. ებრაელთა სალოცავი სინაგოგებიც არ გადურჩა გაშმაგებულ ხალხს, შეანგრიეს შიგ კარები და დაარბიეს იქაურობა.

საღამო ჟამს ხალხი დაწყნარდა ქუჩაში პოლიციელები და ჯარის-კაცები იჭერდნენ ბოროტ-მოქმედთ დაართმევდნენ ნაძარცვ საქონელს. ქალაქი საზარელი სანახავია. ქუჩები სავსეა ავეჯის ნამტვრევებით, სკამების, მაგიდების, ჭურჭლეულობის ნატეხებით, ზედ სქლად არის დაფენილი ბუმბული და ლოგინის მოწყობილობის ნაგლეჯები. ხალხი დამშეულია, სანოვაგე ძრიელ გაძვირდა. წითელი ჯვარის ადგილობრივმა განყოფილებამ უკვე დაიწყო მოქმედება.

— საერო განათლების სამინისტრომ შეიმუშავა დროებითი წესები მასწავლებელთათვის ჯამაგირის მომატების შესახებ. კომისიამ საჭიროდ სცნო ჯამაგირის მომატება. მისის აზრით, სასურველია რომ ამ საგნისათვის მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილი 600,000 მან. ასე განაწილდეს: საქალაქო სასწავლებლებში, სამოსწავლო ინსტიტუტებში და სემინარიებში მიემატოს მასწავლებელთა ჯამაგირს 20 პროცენტი. 2) გიმნაზიებში, რეალურ სასწავლებლებში, დაბალ სამრეწველო სასწავლებლებში, იმ მასწავლებელთ, რომელთაც 5 წელიწადი უმსახურნიათ და 750 მან. ჯამაგირი ეძლევათ—მიემატოს 90 მ., რომელთაც 5—10 წლ. უმსახურნიათ—900 მ. ჯამაგირს მიემატოს 90 მ. 10—15 წლამდის ნამსახურთ, 900 მან. მიემატოს 180 მან., 15—25 წლამდის ნამსახურთ—900 მანეთს მიემატოს 360 მან. 3) დამატებით გაკვეთილების საფასურად მიემატოთ წელიწადში 3-ან—10 მანეთამდის, გაკვეთილის ფასის მიხედვით. უმაღლეს სასწავლებელში პროფესორთა და მასწავლებელთ მიემატოთ ჯამაგირს 20 პროცენტი. მოხსენებულ სიიდან გამოკლებულნი არიან: 1) ის პირნი, რომელთაც პენსია ეძლევათ, 2) მასწავლებელნი, რომელთაც 1,500 მანეთზე მეტი ჯამაგირი ეძლევათ, 3) პროფესორები, რომელთაც 1000 მან. მეტი ჯამაგირი აქვთ; 4) საშუალო სასწავლებელთა დირექტორები, ინსპექტორები და ის პირნი, რომელნიც უმაღლეს სასწავლებელში საადმინისტრაციო თანამდებობას ასრულებენ. 5) მასწავლებელნი საშუალო სამრეწველო სასწავლებლებში, დაბალ სახელოსნო სკოლებში და სახელოსნო მოწაფეთა სკოლებში. ჯამაგირს მოუმატებენ მხოლოდ იმპერიის იმ სასწავლებლებში, რომელთაც ხაზინა სრულ თავის ხარჯით ინახავს.

## უცხოეთი

**ჩინეთი.** „რეიტერის სააგენტოს“ ჩინეთიდგან ატყობინებდნენ,—მანჯურიიდან ჯარების გასაყვანად რუსეთის მიერ წარდგენილმა პირობებმა დიდად ააღელვა ჩინეთში მცხოვრებნი ინგლისელნი; პეკინში მყოფი ინგლისის ელჩიც მკაცრად ჰკიცხავდა რუსეთის ასეთს მოქმედებასაო.

გაზ. „Nat. Zeit.“-ი ამბობს ამაზედ:

„ჩინეთმა რომ რუსეთის ყველა მოთხოვნილება დააკმაყოფილოს, მანჯურია ისევ ჩინეთის პროვინციად დარჩება; რუსეთის მოთხოვნილებით აშკარად სჩანს, რომ ჩინეთს მანჯურიაში თავისუფლად მოქმედების ნებას არ მისცემენო. ლონდონში, ვაშინგტონსა და ტოკიოში რუსეთის ხელშეკრულობამ დიდი ჩოჩქოლი გამოიწვია. ინგლისსა და იაპონიაში რუსეთს სამართლიანად სთვლიან აზიაში პირველობის მძლავრ და საშიშ მოქიშპედ; 1902 წ. იანვრის 30-ს ინგლისი და იაპონია შესთანხმდნენ აღმოსავლეთში დიდ სახელმწიფოების მისწრაფებათა შესაკავებლად და თავიანთ საკუთარ სურვილთა საერთო ძალით განსახორციელებლად. ყველა ადვილად მიჰხვდება, რომ ეს ფარული შეთანხმება რუსეთის წინააღმდეგ არის მიმართული, მაგრამ ამ დროს მისი ძალა და სარგებლობა-კი მეტად საეჭვოა.

იაპონიასა ჰსურს სამხარ ფლოტის გაძლიერება, მაგრამ ეს სახელმწიფო ისეა გართული შინაურ საქმეთა მოწყობაში, რომ საეჭვოა მისი სურვილის განხორციელება. მაინც და მაინც იაპონია არაფერს არ დაუთმობს რუსეთსაო.

— უცხოეთის გაზეთებს შანღჰაიდან აუწყებენ,—ჩინეთის შუაგულ ადგილებში ვრცელდება ბოქსერთა მინაგვარი ახალი მოძღვრება. 80% მცხოვრებთა ამ მოძღვრების მიმდევარიაო. აჯარებელი ჯარი და სხვა-და-სხვა მოხელენი ამავე მოძღვრებას აღიარებენო.

„კელნის გაზეთი“-ს კორესპონდენტი ირწმუნება—დიდი აჯანყებაა მოსალოდნელიო. კორესპონდენტის სიტყვით, — მანდარინები სცდილობენ ფარულად იმოქმედონ, მაგრამ ეჭვი არა, რომ სამხრეთ-ჩინეთში ძლიერი ამბოხება ჩქარა დაიწყებაო.

**ოსმალეთი.** როგორც გაზ. „Berl. Tag.“ ბელგრადიდგან აუწყებენ, აპრილის 13 (ახ. სტ. 26) ოსმალთა ჯარის კაცნი გადასულან სერბიის საზღვარზედ, დაუტაცნიათ სხვილფეხი საქონელი და ერთი გლეხ-კაცი თან წაუყვანიათ, მაგრამ, ოსმალეთის სამფლობელოში რომ გადასულან კაცი, გაუნთავისუფლებიათ. საზღვარზე მდგარი ოსმალეთის ჯარის-კაცნი მშიერ-მწყურვალნი ჰყრიან; აღარც ჯამაგირი ეძლევათ და სურსათსაც მეტად ცოტას იღებენო; ამისათვის ძარცვა-გლეჯას მიჰყვეს ხელი და სერბიის საზღვარზედაც მისთვის გადადიან. სერბიის მთავრობამ შეუთვალა ავსტრია-უნგრეთისა და რუსეთის ელჩებს, —ჩვენი საზღვრის მდგომარეობას ყურადღება მიაქციეთო.

— „რეიტერის სააგენტოს“ აუწყებენ ბალკანეთიდგან,—სარევოლიუციო მოძრაობა თანდათან ძლიერდებაო. წინად მღელვარება მხოლოდ მონასტირის ვილაიეტში იყო; ახლა-კი სოლუნის ოლქშიაც იჩინა თავიო. გლეხკაცობა ასობით და ათასობით მზად არის მეამბოხეებს მიემხროს. ახალგაზდა ბულგარები ანებებენ ადგილებს თავს და ქალაქებიდან სოფლად მიდიან, რომ პირველსავე მოწოდებაზედ საომარ დროშის ქვეშ დადგნენ. მეამბოხეთა და ჯარებ შორის შებრძოლება გახშირდა; მეამბოხენი დიდს ზარალს აყენებენ ოსმალეთის ჯარსაო. სერბებს ჯერ-ჯერობით არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ ამ მოძრაობაშიო.

ბერძენთა ეპისკოპოსმა აღამაღლა ხმა და იწვევდა ხალხს,—ოსმალებს შეუერთდით და შემუსრეთ ბულგარნიო. უსკიუბიდანაც საშიში ამბები მოდის. ალბანელთა მოძრაობა დღითი-დღე ვრცელდება. ქილმი-ფაშამ ბრძანება გასცა,—რევოლიუციონერებს უწყალოდ მოექეცითო. სერბიის საზღვარზედ ალბანელნი ხშირად გადადიან. ამ რამდენისამე დღის წინად ალბანელნი დაესხნენ სოფ. ვუკოევაცს და ერთი გლეხ-კაცი მოჰკლესო.

**საბერძნეთი.** ათინაში დააპატიმრეს რამდენიმე წევრი მაკედონიის კომიტეტისა. საბერძნეთში მცხოვრებ ყველა ბულგარებს პოლიცია თვალ-ყურს ადევნებსო.

ქალაქ სერესის წარჩინებულმა ბერძნებმა აცნობეს ბულგარელ ჯუფთებს,—მეამბოხეთაგან თითო მოკლულ ბერძნის სამაგიეროდ ორს ბულგარელს მოვკლამთო. ამ მუქარით ბერძნებს უნდათ ალაგმონ ბულგართა თავხედური მოქმედებაო. გაზეთი დასძენს: „ნუ თუ მაინც ვერ ჰხედვენ ბულგართა მომხრენი იმ ღვარძლისა და შხამის თესლის ნაყოფს, რომელიც მოჰფინეს მთელს მაკედონიას ეგრედ წოდებულმა „განმათავისუფლებელთაო“.

### პარიჟი (წერილი მე-19)

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

პანთეონი.

წმ. სევერიანეს ტაძართან რომ მოუხვევთ, გახვალთ „St. Jackues“-ლათინთა უბნის ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე, რომელსაც სავსებით დაუცავს ძველი სახე; იგი ვიწრო და უსწორ-მასწორია, მაგრამ მუდამ გაჭედილია ხალხით, რადგან დიდი ვაჭრობაა, თითქმის მარტო სანოვაგისა და საბაულო საქონლისა. ამ ერიცხვ სავაჭრო—მაღაზიებით ჩაყოლებულ ქუჩაზე განუწყვეტლივ გაბმულია, დილაობით მაინც, მომცრო, ხელით სატარებელი ურმები, რომელთაც ეზიდებიან უმეტეს ნაწილად მოხუცნი და მოზრდილი ბავშვები; ამ ურმებით შემოაქვთ ქალაქში ბოსტნეულობა, იაფი ხილეულობა და თევზეულობა; ეხლა-კი, რადგან გაზაფხული დადგა,—უფრო მწვანილეულობა და ყვავილეულობა. მაგრამ სულ ამგვარი-კი არაა ეს ქუჩა: იქ, სადაც სხვა-და-სხვა სასწავლებელთა შენობები იწყება (უმეტეს ნაწილად ახლახან აშენებულია), ქუჩა ფართოა და სწორი. იგი შუაზე ჰყოფს ერთის მხრით სორბონნსა და მეორეს მხრით „Collége de France“-სა და ლუდოვიკე დიდის ლიცეისა, ჩაუდევს „Ecole du droit“-ის შენობას, რომელიც აღმართულია სწორედ „St-Jacques“-სა და „sifflot“-ის ქუჩათა ჯვარედინზე, საიდგანაც მარჯვნივ მოსჩანს ამწვანებუ-

---

მამაც სალდათების დასარწმუნებლად, რომ მე ძალმიძს მათი დაფარვა. მე სრულიად ცხადად ვგრძნობდი ამ სცენის საშინებლებას და როზენის სანუგეშებლად იქვე მივიხმე მისი შვილი, პრეობრაჟენსკის პოლკის პორუჩიკი,—რომელიც ვარშავის იერიშით აღებისათვის წმ. გიორგის ჯვრით იყო დაჯილდოვებული,—ჩემ ფლიგელ-ადიუტანტად დავნიშნე ღირსი მისის სიძის მაგიერ [5]).

„ტფილისით გამოვედი 12 ოქტომბერს დილით ადრე. მომცეს ეეტლე, რომელსაც თავისი ცხენები გაწვრთნილი არ ჰყავდა და ან არ იცოდა მათი მართვა. ბრიყვმა დაუწყო მათრახით ცემა ცხენებს სწორედ მაშინ, როცა ჩამოვდიოდით კარგა დაქანებულ თავდაღმართში, რომელიც რამდენსამე ადგილს საშინელი გადასაჩეხი იყო. ცხენებმა გაგვიტაცეს. სწორედ სახუმრო წამი არ იყო. წინ დაგვიდგა განსაცდელი და აღარავითარი საღსარი აღარ სჩანდა ხსნისა. მეეტლის მისაშველებლად ცხენების შესაკავებლად კოლიასკაში წამოვდექი, მაგრამ ვერას გავხდი; სულელური აზრი მომივიდა, ეტლიდან გადავხტებიმეთქი, მაგრამ ორლოვი მიხვდა, რომ ეს შეუძლებელი იყო, და შემაკავა. სიკვდილს ვერ ავსცდებოდით, რომ უეცრივ ძლიერ დაჯახების გამო ეტლი არ გადაბრუნებულიყო და შორს არ გადავესროლეთ. მე რამდენჯერმე ყირაზე გადავტრიალდი და მით მოვრჩი, ორლოვი-კი გვარიანად დაიმტვრა, გარდაბრუნებული ეტლი ორი თითის დადებაზე უფსკრულის ნაპირზე იყო და, რომ არ გადმოვცვინულიყავით, ჩვენ უთუოდ შიგ უფსკრულში ჩავცვივდებოდით. დასამტკიცებელად იმისა, რომ ეტლი ახლო იყო უფსკრულზე, საკმაოა ის მოვიყვანო, რომ ორივე წინა ცხენები აღვირით უფსკრულში ჩაეკიდენ და მარტო ეტლის სიმძიმემ შეაკავა ისინი. გარეტიანებულები ფეხზე წამოვდექით, მადლობა შევსწირეთ ღმერთს სასწაულებრივ გადარჩენისათვის. [6]) ეტლის წინა ნაწილი სრულიად დალეწილი იყო. ტფილისში დამზადებული გვქონდა სხვა ეტლები და ვუბრძანე ორლოვს დარჩენილიყო და ეტლები წამოეყვანა, ხოლო თითონ მე განვაგრძე მოგზაურობა ყაზახის ცხენით და მალე გავჩნდი ქვეშეთში, კავკასიის უმთავრესს უღელტეხილთან.

„13 ოკდომბერს ისევ ცხენზე შევჯექ გარდასასვლელად იმ ვეებერთელა მთების ზურგზე, რომელიც ჰყოფს ევროპასა და აზიას. ხეობაში კიდევ მშვენიერი შემოდგომა იდგა, ხოლო მთის მწვერვალებზე ექვსი გრადუსი ყინვა იყო და ცხენებს ფეხი მუდამ უსრიალდებოდათ. ამ მთებში და საღ კლდეებში გაყვანილი გზა სწორედ რომ უნდა ჩაითვალოს კაცის ხელოვნების ბუნებაზე გამარჯვებად. ახლა აქ შეიძლება ოთხი ცხენით შებმულ კარეტით სიარული, მხოლოდ თვალს აშინებს, გარშემორტყმულ ბუნების საშინელი შეხედულობა.

„ვლადიკავკაზში [7]) მიცდიდა ჩერქეზების და ლინიის ყაზახების ჩემი კონვოი, რომელიც პეტერბურგიდგან დაბრუნებულიყო შემდეგ სამსახურის ვადის გასვლისა, და სხვა-და-სხვა მთიულების ტომთა დეპუტატები. უნდა შეგეხედნათ, ჩემი ყოჩაღი ყაზახები რა სახით ადევნებდნენ თვალს ამ ვაჟბატონების მოძრაობას, რომელთაგან ბევრს ნამდვილი ავაზაკის შეხედულობა ჰქონდა.

„მე განუმარტე დეპუტატებს, თუ რას მოვითხოვ მათ თანამემამულეთაგან, არა რუსეთის გაძლიერებისათვის, არამედ საკუთარ მათ სასიკეთოდ და მათ ცოლ-შვილის საბედნიეროდ და შემდეგ დავუმატე: რომ მე მართალს გეუბნებით, დასარწმუნებლად შეგიძლიანთ ჰკითხოთ აქვე დამსწრე მოლლას, რომელიც ჩემის ბრძანებით რამდენიმე წელიწადია პეტერბურგში ცხოვრობს და ასწავლის მაჰმადის რჯულს თავის თანამემამულეებს და იმათს შვილებს, რომელნიც აღსაზრდელად მებარნენ; დასასრულ დავსძინე, რომ მე მოვითხოვ მხოლოდ, რომ წყნარად იყვეთ და დასტკბეთ თქვენის მშვენიერ სამშობლოს ბუნების სიმდიდრით და არ გაბედოთ შებრძოლება უძლეველ რუსეთთანა-მეთქი.

„ვგონებ, რომ შეიგნეს ჩემი სიტყვები და ჩვენ ერთმანეთს მეგობრულად დავშორდით; ამასთანავე ყველამ მოისურვა ეკატერინოდარამდე გამომყოლოდნენ. ამ ჩემს ამალაში ჩემიანებზე ოთხჯერ მეტი მტერი იყო და ყველა იმის ცდაში იყო, რომ დავეფარე რომელისამე მათგანის ბოროტ-მოქმედებისაგან. ახირებული სანახაობა იყო სწორედ. ზოგიერთმა მამებმა მთხოვეს, მათი შვილები აღსაზრდელად ამეყვანა.

„უნდა ვაღიარო, რომ აქამომდე ადგილობრივ მთავრობას საქმე ისე ვერ წაუყვანია, როგორც საჭირო იყო. იმის მაგიერ, რომ მფარველობა აღმოეჩინა, ავიწროებდა მხოლოდ და აღელვებდა მკვიდრთ; ერთის სიტყვით თითონ ჩვენ გავხადეთ მთიულები მტერად და ჩვენც ბევრად უკან არ ჩამოვრჩენილვართ იმათ ავაზაკობაში. ბევრი ველაპარაკე ველიამინოვს და ვცდილობდი ჩამეგონებინა, რომ მსურს მშვიდობიანობა და არა გამრჯვება, რომ თითონ იმის სახელისათვის და რუსეთის ინტერესებისათვის საჭიროა ალერსით მონადირება და შეკავშირება რუსეთთან, რისთვისაც ამ ველურს ერს მან უნდა შეაგნოს, რამდენად გამოსადეგია წესიერება, კანონის სიმტკიცე და განათლება; ხოლო მუდმივი მათთან ბრძოლა უფრო დაგვაშორებს იმათ და უფრო გააძლიერებს ამ ერში ომის სურვილს და სისხლის ღვრას, რომელიც უამისოდაც ძრიელ უყვართ [8]).

„მე თითონ აქვე დავუწერე ველიამინოვს ახალი ინსტრუქცია და ვუბრძანე დააწესოს სხვა-და-სხვა ადგილას სკოლები მთიელების შვილებისათვის, როგორც ყველაზე სარწმუნო საშუალება მათის გარუსებისათვის და მათ კერპ ზნე-ჩვეულების მოსალბობლად. იმედი მაქვს, რომ ველიამინოვმა შეიგნო ჩემი დარიგება და შემდეგში საქმე უკეთ წავა. როზენმა ბევრი კარგი გააკეთა, მაგრამ იმის სისუსტით უწესოებამ და ბოროტ-მოქმედებამ უფრო იჩინა თავი იმის მართვის დროს, ასე რომ ბოროტმა სძლია კეთილსა; მე დავუბარე ორლოვს, რომ ერჩია როზენისათვის დათხოვნის ქაღალდი შემოეტანა. საჭიროა დაუყოვნებლივ იმის ადგილას ვინმე სხვა დაინიშნოს და მე კიდეც მივწერე თ. პასკევიჩს, რომ დამითმოს ამ ადგილისათვის გოლოვინი [9]).

ს. ღოღობერიძე.

---

[5]) ეს ამბავი, ცოტა არ იყოს, დამახინჯებული აქვს ლ. ისარლოვს. ის მოგვითხრობს, რომ დადიანის აწბილება იმპერატორის მობრძანებისთანავე მოხდაო და შეცდომით იხსენიებს გრ. ბენკანდორფსაც, ვითომც ის ხელმწიფეს ახლდა. (Письма о Грузіи გვ. 182) ამ პოლკოვნიკს დადიანს შემდეგ ჩინი ახადეს, რუსეთში დაესახლა და შარშან „Русская Старшина“-ში დაბეჭდილი იყო ერთ იმის შვილთან მინაწერი წერილი იერუსალიმიდან მისის დეიდისა, ბარონ როზენის ქალისა, განთქმულ იღუმენია მიტროფანის მიერ.

[6]) ამ ადგილას ვერაზე ჯვარია აგებული.

[7]) კავკაზში.

[8]) შემდეგში, გრ. ევდოკიმოვის გამგეობის დროს, ეს ინსტრუქცია სრულებით შეიცვალა და იმას შედეგად მოჰყვა ის, რომ მთელი ერი გარდაიხვეწა სათათრეთში, სადაც განთქმული ორიენტალისტი დულორიე „Revue de deun mondes“-ში სწერდა: „lamenteable odisse d'un pouple teuteutes“.

[9]) რომელიც კიდეც დაინიშნა მეათე მთავარ-მართებლად. ლ. ისარლოვი თავისს წიგნაკში სწერს, ვითომც ბარ. როზენმა სამსახურს თავის ნებით დაანება თავიო, რაც ზემოდ მოყვანილ ავტორიტეტულ სიტყვების შემდეგ, ცხადია, სიმართლეს მოკლებულია. საზოგადოდ ენაწყლიანი ლ. ისარლოვი მეტის ქებით იხსენიებს როზენს და პლუტარქის გმირებს ადარებს! ტფილისში აქამდე დაცული ანეგდოტები,—მათ შორის განსაკუთრებით თ. ივ. კ. მუხრანბატონისა, სრულიად არ ამართლებენ ისარლოვის მიერ ქებადიდებას ბარ. როზენის შესახებ, (Письма о Грузіи გვ. 185 და სხ.).

[illegible]

# ნარკვევი

ბ-ნ. „კავკაზი" [illegible]

უფლება-ქცევას ადარებს, კერძოდ ჩვენზე, ქართველებზე ბ-ნი მაქსიმოვი შემდეგს ამბობს:

რუსეთთან შეერთებამდის საქართველო, პატარა სამეფოებად დაყოფილი, მუდამ ომობდა, განუწყვეტელ ბრძოლაში იყოო, და განა შეეძლო ამ გვარ მდგომარეობას აღეზარდა ხალხში გრძნობა პატივის-ცემისა, მოქალაქობრიობისა და კანონიერებისადმიო.

ბ-ნი მაქსიმოვი იმ აზრის არის, რომ კავკასიის მკვიდრნი თანაუგრძნობენ ყაჩაღებს, მამაც მეომრებად, ვაჟკაცებად მიაჩნიათ ისინიო, და თავის აზრის დასამტკიცებლად ერთი მაგალითი მოჰყავს, როცა ყაჩაღები დუქანში დათარეშობდნენ, ანგრევდნენ იქაურობას, ფული და საქონელი გაჰქონდათ და ამ დროს ხალხი და სოფლის მამასახლისი დუქნის კარებთან იდგნენ და სეირს უყურებდნო.

ეკონომიური გაჭირვება არაფერ შუაშია ყაჩაღების გაჩენაშიო, იგი თვით ხალხის ხასიათშა ბუდობსო, ბძანებს ბ-ნი მაქსიმოვი.

ბ-ნ მაქსიმოვის მსჯელობა ცალ-მხრივია დინჯადაკვირვებას მოკლებული. განა შეიძლება ადამიანმა რომელიმე მოვლენა ხალხის ცხოვრებაში განაცალკევოს და მთელი ხალხის ვითარების შეუსწავლელად მიაწეროს იგი ხალხის ხასიათს მხოლოდ ისტორიულ საბუთებითა და ორიოდე მაგალითით ხელში?! ისტორიულად დღევანდელი საჭირ-ბოროტო კითხვათა განმარტვა ადვილია, მრავლად ხმარებული და უკვე გაცვეთილი საბუთებია ეს საბუთები, ამაზედ ბევრად უფრო ძნელია უცხო ტომის ხალხის შესწავლა, დაკვირვებით, დინჯად, აუჩქარებლად, პირველად ყოვლისა მისი ენის შესწავლით, რომელიც უმთავრესი საშუალებაა ხალხის სულიერი ვითარების გასაცნობლად. ნუ-თუ არ უნდოდა შესწავლა აგრეთვე იმ საკითხსა, თუ რა მონაწილეობას იღებენ ყაჩაღობაში ჩვენებური გლეხები, ხალხის უმრავლესობა, რომელიც რუსეთთან შეერთებამდის მიწის მუშაკი იყვო, რაიც ღრმა კვალს დააჩნევს ხოლმე ადამიანის სულიერ ვითარებას და რა ადგილი უჭირავს ამ მოვლენაში ჩვენ თავად-აზნაურობას, ამ უმცირეს ნაწილს, რომელიც სრულებით განსხვავებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა? ნუ-თუ მთელი კავკასიის მრავალ-ფეროვანი მკვიდრნი, სხვა-და-სხვა ტომის და სხვა-და-სხვა ხასიათის ხალხნი, ისე დინჯად და ღრმად შეუსწავლია ბ-ნ მაქსიმოვს, რომ ისინი ყველა წარბ-შეუხრელად ერთ სიტყვაში „ბავშვებიაო"—მოაქცია და ამნაირად მოიშორა ისინი თავიდან? ნუ-თუ ორიოდე განცალკევებული შემთხვევა მთელი ხალხის დამახასიათებელი უნდა იქმნას.

საზოგადოდ ბ-ნ მაქსიმოვის წერილს, როგორც ჩვენი ქვეყნის შესახებ მრავალ სხვა წერილებს, ნაჭირვები, კაბინეთში გამონაწური თხზულების ხასიათი აქვს. კაბინეთში ერთობ ადვილია მარტო კავკასიის ხალხთა-კი არა, მთელ დედამიწის ზურგზე დამკვიდრებულ ხალხთა აცმა და ჩამწკვრივება წინ და წინ შეთხზულ აზრების ჩხირებზე.

რუსეთში არსებობს ერობა, რომელსაც დაახლოვებული დამოკიდებულება აქვს ხალხთან, მის სულიერ და ეკონომიურ ვითარებას უკვირდება, დინჯად იკვლევს ამ ღრმა-მნიშვნელოვან საკითხს და მკლევარნიცა ზოგჯერ განსხვავებულ, ერთმანერთის წინააღმდეგ დასკვნას დაადგებიან ხოლმე ხალხის ხასიათისა და მისი სულიერი ვითარების შესახებ; ჩვენი ცხოვრების მკვლევართათვის-კი დღეს უმთავრესი წყაროებია ჩვენი ისტორიული წარსული და დღევანდელ პოლიციის ბოქაულთა ოქმები და მაინც თამამად და გადაწყვეტილად გამოსთქვამენ ხოლმე თავის აზრს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის შესახებ..

# წერილი
## რედაქციის მიმართ.

უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენის გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ქ. მოსკოვში მყოფ ქართველთ სტუდენტებს, რომლებმაც თავიანთ წვლილით დაუგზავნეს თანა-მემამულე ახალ თაობის მოზარდთ ახუთის (სამეგრელოშია, ზუგდიდის მაზრა) ორკლასიან სამრევლო სკოლის შეგირდებს საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი" ამა 1903 წლისა.

ახუთის ორ-კლასიან სკოლის მასწავლებლების და მოსწავლეთა მინდობილობით.

მასწავლებელი ამავე სკოლის თეიმურაზ გ. ქიქინაძე.

# დეპეშა
(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

21 აპრილი.

**კიევი.** ამას წინად დაწყებული გადასახლება ებრაელთა შეჩერდა. ჰგონებენ, რომ გადასახლდა რამდენიმე ათასი ულარიბესი ოჯახი, უმეტესი ნაწილი დედაკაცობა და ბავშვები. უფრო შეძლებულნი გადასახლდნენ სასტუმროებში. მოუსვენრობის გამომწვევი ხმები მიწყნარდა,

**რომი.** იმპერატორი ვილჰელმი რამდენგანმე ბრძანდებოდა სადარბაზოდ ძ დაბრუნდა კვირინალს, სადაც გამართული იყო სადილი. სადილთ უკან იმპერატორი ორივე შვილით და მეფე-დედოფალი იტალიისა დაესწრნენ სადღესასწაულო წარმოდგენა.

**ათინა.** საბერძნეთის მთავრობამ ყურადღება მიაქცია ოსმალეთისა იმ ძალ-მომრეობას, რომელსაც ითმენენ ბერძნები მაკედონიაში ბოლგართაგან.

**პარიჟი.** მეფე ედუარდს 20 აპრილს სადილი ჰქონდა ინგლისის საელჩოში ლუბეს პატივსაცემლად.

**სოფია.** სოლონიკს იცავს 15 ათასის კაცისაგან შემდგარი ჯარი იმის გარდა, რომ 20 ათასი მკვიდრი ოსმალთა მთლად შეიარაღებულია.

22 აპრილი.

**ლინდაუ.** „Lidauer Tagebatt„ იუწყება რომ პრინცესა ლუიზას ქალი შეეძინა.

**სოფია.** მინისტრთა საბჭოს რამდენიმე დღე ზედიზედ კრება ჰქონდა.

20 აპრილს ბოლგარიაში დამატებითი დეპუტატთა არჩევა იყო, მომეტებული ნაწილნი მთავრობის მომხრენი იქმნენ ამორჩეულნი.

გარეშე საქმეთა სამინისტრომ სალონიკიდგან მიიღო სავაჭროთა აგენტისაგან, რომ ის დატყვევებული არ ყოფილა.

ტყუილია ის ხმები, ვითომც დინამიტი ბოლგარიიდგან მოჰქონდეთ. „Вечерняя Почта" ირწმუნება, რომ დინამიტი ავსტრიიდგან მოაქვთო.

**პეტერბურგის ბირჟა**, 18 აპრილს

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,00 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,90 |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიჟში ,, | 37,70 |
| ბირჟის დისკონტი | 5—6¹/₂% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 98³/₈ გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | 100³/₄ მყიდ. |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 95³/₈ მყიდ. |
| 5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 435¹/₂ წვ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 335 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 300 წვ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4¹/₂% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | 91¹/₂ გაყ. |
| 4¹/₂% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | — |
| აქციები ,, ,, ,, ,, | — |
| ,, კასპიის ამხანაგობისა | 4185 წვ. გაყ. |
| ,, ბაქოს ნავთის საზოგად. | 407¹/₂ გაყ. |
| ,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. | 203 წვ. გაყ. |

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით.)

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბათუმს:**—1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

**ბაქოს;** 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ.; 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

**ყარსსა და ერევანს:** 1) საფოსტო № 74/75 ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 12 ს. 38 წ.

**ბორჯომს:** 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № 9/10 დილის 6 ს. 21 წ.

**ბ) ბათუმიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) სწრაფი № 2 ღამის 11 ს. 22 წ.; 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 21 წ.; 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ.

**გ) ბაქოდგან გამოდის:**

**ტფილის-ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკეობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 4 ს. 40 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ.; 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 01 წ.

**დ) ქუთაისიდგან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:** ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.

**ბათუმისაკენ:** ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

**შორაპნისაკენ:** დღის 3 ს. 8 წ.


# განცხადება

**ისყიდება მეტად იაფად**

საფრანგეთისა და ბერლინის

**ლიტოგრაფიის დაზგები**

С.-Петербургъ, Фурштадская 28, Зенкевичъ. (1—6.—1)

ქუთაისში

**ს. მ. ბ. თოფურიას**

**სამკურნალოში,**

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.




**ლაბარატორია**

**რის გუტმანისა**

მისის იმპერატორებითის. უდიდებულესობის კარის ვაჭარი.




**ინდოური მიშუნაი**

(ქიმიკოსის რის გუტმანისა)

ნამდვილი გაწყვეტა ვირთაგვებისა, თაგვებისა, თხუნელებისა და სხვათ მათ გვართა. ეს საშუალება განდევნის სახლებიდგან და სადგურებიდგან, განსაკუთრებით ზემოხსენებულ პირუტყვებს იმრიგად, რომ იატაკის ქვეშ არა რჩებიან და ცუდს სუნს არ ავრცელებენ იქიდგან. ფასი 60 კ.—1 მ. 50 კ.

**ინდოური ფხვნილი მწერთა მოსასპობლად** ყველაზედ ნამდვილი საშუალება საბოლოვო გასაწყვეტად ყოველგვარ მწერთა და მათის თესლისა. ეს ფხვნილი შეუდარებელია რწყილის და ბაღლინჯოს გასაწყვეტად კრაოტებში, ლეიბებში, გალესილ კედლებში და აგრეთვე ფიცრის კედლებში. რომელსაც გაკრული აქვს ნაბდები და ნაძენძი. ჩრჩილსა სწყვეტავს ნავთალინისავით და ამასთან მასავით მძიმე სუნი არა აქვს. ამიტომ საჭირო არ არის ქურქისა და სხვა ტყავიან საცმელების შესანახავად მიცემა ზაფხულში. ეს ფხვნილი თავის მოქმედებას ყოველ გვარი ქია-ღუის წინააღმდეგ თითქმის წუთის განმავლობაში იჩენს. ფასი 35 კ., 65 კ. და 1 მ. 20 კ.

**სითხე ბაღლინჯოს წინააღმდეგ** (ქიმიკოსის რის გუტმანისა). სამუდამოთა სწყვეტავს. სასიამოვნო სუნისა არის და ამასთან არ ალაქავებს საცვლებს, შპალერს და მებელს. შეფრქვეული ოთახის ჰაერს სასიამოვნოდ აგრილებს და ამასთან ერთად განდევნის ჩრჩილს, ბუზებს და კოღოს. ფ. 60 კ.—1 მ.

**ტოკაის ბალზამი** (ქიმიკოსის გუტმანისა) განკურნავს ბებერას, მეჭეჭს და სხვა ამ გვარს, მოკლე დროს განმავლობაში. ძირიან-ფესვიანად სპობს და ამასთან არავითარ ტკივილს არ აგრძნობინებს ადამიანს. ფასი თითო ფლაკონისა 60 კ.

უმთავრესი საწყობი ტფილისში, სააფთიაქ. საქონ. ვაჭრ. ამხ.-ში და ყოველს სააფთიაქო მაღაზიაში. (40—6.—16)

# ახალი წიგნები

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართ. წიგნის მაღაზიებში.

სოსიკო მერკვილაძის მიერ გამოცემული ახალი წიგნები:

| | |
|---|---|
| **სიმღერა** აკაკისა. ფასი | 15 ,, |
| **პატარა ჩონგური** ლექსი (დედა-ენა) | 5 ,, |
| **ვაჭრული ჭკუა**, ლექსი აკაკისა | 5 ,, |
| **დათუნა გოცირიძე** / **როსტომ ერისთავი** { ძველებური ამბავი აკაკისა | 5 ,, |
| **აბრამის და ივანის** ლექსი | 3 ,, |
| **ოქრუა** (ხალხური ზღაპარი) | 5 ,, |
| **ორი ძოსატყუილა** / **ბიჭია მენახირე** / **მეფე და სკვინჩა** { ხალხური ზღაპარი. | 10 ,, |

ვინც მოისურვებს ამ წიგნების ყიდვას ან დაბეჭდვას, მიმართოს ტფილისში, ქვაშვეთის ქუჩაზე (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ) არჯევანიძის სახ. **ანნა მერკვილაძის ქალთა ტანისამოსის სამკერვალო მაღაზიაში.**

ვინც თვითოეულ გამოცემას იყიდის არა ნაკლებ ერთი მანეთი ა, **ყოველ მანეთზე დაეთმობა თითო აბაზი.**

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Георгіевская (Кашветская) ул., д. Аржеванидзе. № 12 модная мастерская Анны Мерквиладзе.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ, გარდა გამოცხადებულის აგენტებისა (იხ. № 31), რომელნიც არჩეულ იქმნენ აგენტებად 1902 წელს, საზოგადოების აგენტებად ითვლებიან შემდეგი პირები, რომლებიც არჩეულნი არიან წინად:

1, თ. კირილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე . . . ქუთაისში,
2, სილოვან თომას ძე ხუნდაძე „
3, თომა აბრამის ძე მთავრიშვილი. „
4, სამსონ გიორგის ძე ყიფიანი. „
5, თ. ბეჟან დავითის ძე წერეთელი. საჩხერეში.
6, თ. ქაიხოსრო გელოვანი ლეჩხუმში,
7, ბესარიონ ჭელიძე ზუგდიდში,
8, ზაქარია იოელის ძე ნაცვლიშვილი სიღნაღში,
9, ნიკოლოზ ლევანის ძე აბაზაძე. ბორჯომში,
10, ელენე ალექსანდრეს ასული აბულაძისა . , . . განჯაში,
11, აბელ იაშვილი . . . დუშეთში,
12, მიხეილ მოსეს ძე მღვდლიშვილი . . . ცაგერში,
13, ირაკლი ლუკას ძე ბაქრაძე ყარსში.

გამოვიდა და ისყიდება

**ლედი ჯენ**

ჯემსონის მოთხრობა სურათებით

სააღდგომო საჩუქრით

ვარაყიანის ყდით 1 მ.

იყიდება ჯეჯილის რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

ჯეჯილის რედაქციაშივე ისყიდება 1897, 98 და 99 წლების ჯეჯილი თითო წლისა ორ მანათად. (10—6—9)

# ამერიკულ ვაზის სანერგეში
# კლდე-უგუროული

სოფელ დიმში. მიიღებიან ბიჭები პრაქტიკულ სამუშაოზე ვაზის სანერგესა და ღვინის დაყენების შესასწავლად. ადრესი: В. И. Тьеоо, Кутаисъ. (3—100—2)

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

# ფარმაცევტთა ამხანაგობა

ტფილისში

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების" ქვეშ.

**ტელეფონი № 741.**

აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად, დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი, მზა წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებლი ნივთეულობა, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ქირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქის და ლაბარატორიისათვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხვა წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის და თვალ-წარბის საღებავი. საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ-სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები —სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ, და სხვ.

ადრესი ფოსტისა და დეპეშისა: Тифлисъ Товарищество Фармацевтовъ. (100—13)


Дозволено цензурою. Тифлисъ 22 апрѣля 1903 г. Типографія „Гутенбергъ" (кн. Гр. Діасамидзе) Дворцевая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.